

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 16

ქ.თბილისი

2020 წლის 18 ნოემბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 18 ნოემბერს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 6 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებათანაირად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ი. ფურცელაძის საითინგი და მატჩის მატჩის მთავარი მსაჯის ო. მოგელაშვილის წითელი ბარათის ოქმი, ამა წლის 15 ნოემბერს, I ლიგის მატჩზე, თბ „დინამო“-სა და თბ „ხვამლი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. თბ „დინამო“-ს მორაგბე აკაკი მურაჩაშვილი - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.4 პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. თბ „დინამო“-ს მორაგბე აკაკი მურაჩაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო კლუბი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 18 დეკემბრამდე.
3. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, თბ „დინამო“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/